კონსტიტუციური მართლმსაჯულება

დავით ხოგელია
სამართლის დოქტორი,
ასოც. პროფესორი

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის ფორმირებამ და ფუნქციონირებამ განაპირობა სამართლის ახალი დარგის - კონსტიტუციური მართლმსაჯულების წარმოქმნა. სამართალი, როგორც ცნობილია, არ არის იურიდიულ ნორმათა შემთხვევითი და ქაოსური თავმოყრა, არამედ მკაცრად განსაზღვრული და ურთიერთადაკავშირებული სისტემაა, სადაც ნორმები გარკვეული წესით არიან თავმოყრილნი. სამართალი წარმოადგენს რთულ და იერარქიულ სისტემას, რომელიც განმსჭვალულია დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესით.

სამართლის ნორმებს განასხვავებენ მათი შინაარსის, რეგულირების საგნისა და მეთოდის, მოქმედების სფეროსა და ხასიათის, გამოხატვის ფორმის და ა.შ. მიხედვით. ამდენად სამართალი, როგორც ნორმატიული განათლების ერთიანი და მთლიანი ნაწილი, იმავდროულად იყოფა ცალკეულ დარგებად (რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ქვედარგებად), რომელთაგან თითოეული ასრულებს მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ როლს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების და მოწესრიგების საკითხში. თავის მხრივ, სამართლის ყოველი დარგი არის იურიდიულ ნორმათა ქვესისტემა, რომლიც ახორციელებს გარკვეული ხასიათის საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებას და მათ დაცვას საკუთარი სპეციფიკური, დრგობრივი საშუალებებით.

კონსტიტუციური მართლმსაჯულება, როგორც სამართლის დარგი, წარმოადგენს სამართლის ნორმათა სისტემა, რომლებითაც ხდება ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთოებეის რეგულირება, ასეთი ნორმები აღმოცენდებიან კონსტიტუციური კონტროლის ორგანიზების და ფუნქციონირების პროცესში, კონსტიტუციური კონტროლისა, რომელსაც ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებელი სამართალწარმოების ფორმით – საკონსტიტუციო სამართალწარმოება.

კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას გააჩნია საკუთარი საგანი – საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომლეიც ხასიათდება, როგორც სუბიექტებს შორის დაქვემდებარებითა და მმართველობით. ასეთი ურთიერთობების აუცილებლ სუბიექტს წარმოდაგენს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც აქვს კონტორლის ფუნქცია და ფლობს შესაბამის უფლებამოსილებას კანონის კონსტიტუციურობის დადგენის თვალსაზრისით. კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას საფუძვლად უდევს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობათა ანალიზი, აგრეთვე, როგორც კონსტიტუციური ასევე დარგობრივი, რეალური სამართლებრივი ურთიერთობების ანალიზი, ურთიერთობების, რომლებიც წარმოიქმნებიან სახელმწიფო ორგანოებსა და სამართლის სხვა სუბიექტის შორის.

სტრუქტურის მიხედვით კონსტიტუციური მართლმსაჯულება შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ – სასამართლო კონსტიტუციური სამართალი და სასამართლო კონსტიტუციური პროცესი. პირველი მათგანი წარმოადგენს მატერიალურ ნაწილს, რომელიც აერთიანებს იმ ნორმებს, რომლებიც გასაზრვრავენ საკონსტიტუციო სასამართლოს და მისი მოსამართლეების სტატუსს, კონკრეტულად საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებას და მის შემადგენლობას, მისი საქმიანობის პრინციპებს და გარანტიებს, კომპეტენციას, მის უფლებებს და ვალდებულებებს.

პროცესი კი გულისხმობს ნორმათა სისტემას, რომლებითაც რეგლირდება საკონსტიტუციო სასამართლოში საქმისწარმოების პროცედურა, კონსტიტუციური სქმისწარმოების პრინციპები, სტადიები, ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვის თავისებურებანი. კონსტიტუციური მართლმასჯულების მატერიალური ნაწილი მჭიდრო კავშირშია მის პროცესუალურ ნაწილთან. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების რეალური მდგომარეობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური ნორმებისა და იურიდიული პროცედურების ერთობლიობაში რეალიზაციისა და გამოყენების შესძლებლობით. ყოველ მატერიალურ ნაწილს ასპაერზზე გამოყავს შესაბამისი პროცესუალური ნორმები იურიდიული პროცედურები.[1]

კონსტიტუციური საქმისწარმოება არა მარ-

[1] Юридическая поцесуальная форма. Теория и практика под ред. П.Е Недбайло, В.М Горшенева, М. 1976 г.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ტო კონსტიტუციური მართლმსაჯულების მატერიალური ნორმების რეალიზების საშუალებაა, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. კონსტიტუციური მართლმასჯულების პროცესი მიმართულია კონსტიტუციური იურისდიქციის (სასამართლოს) კომპეტენციის რეალიზაციის უზრუნველყოფისაკენ, ამავდროულად, მას აქვს საკუთარი იურიდიული შემადგენლობა, განვითარების საკუთარი ლოგიკა კონსტიტუციური სამართალწარმოება, როგორც პროცესუალური საქმიანობის ერთობლიობა. საბოლოოდ გვევლინება, როგორც ფორმა, განხორციელების საშუალება, კონსტიტუციური მართლმსაჯულების მატერიალური ნორმების რეალიზაციისათვის.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების მატერიალური ნაწილი თავის თავში მოიცავს სამართლებრივ ინსტიტუტებს, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას და ა.შ. ხოლო პროცესუალური ნორმები მოიცავს კონსტიტუციური სამართალწარმოების პრინციპების ინსტიტუტებს, მის სტადიებს, წარმოების სახეებს და სხვ.

სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს კონსტიტუციის უზენაესობა ნორმატიული აქტების სისტემაში. კონსტიტუციას სახელმწიფო საკანონმდებლო იერარქიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, იგი არის სახელმწიფოს უმაღლესი და ძირითადი კანონი, რომელსაც ახასიათებს უზენაესობა მთელს ტერიტორიაზე. კონსტიტუციური კანონიერება იცავს თვითონ კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონის სამართლებრივ ხასიათს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კონსტიტუცია თავისი შინაარსით უნდა გამოხატავდეს დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპებს, იგი უნდა იცავდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც უპირველეს ყოვლისა აისახება საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში. ნებისმიერ კანონს თუ ქვემდებარე აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას არ გააჩნია იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის I პინქტში ნათქვამია "საქართველოს კონსტიტუცია, სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიუციას". კონსტიტუციის პრინციპებსა და ნორმებს აქვთ პირდაპირი, უშუალო მოქმედების ხასიათი. კონსტიტუცის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. კონსტიტუციური ნორმების მოქმედება, შესაძლოა, დაირღვეს განზრახ ქმედებით ან სამართალგამოყენებითი შეცდომის შედეგად. სწორედ ასეთი დარღვევების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მიზნით არის შემუშავებული კონსტიტუციის დაცვის სამართლებრივი საშუალებები. ამ საშუალებათა შორის მნიშვნელოვანია სასამართლო კონსტიტუციური კონტროლი, რაც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტის დაცვის სპეციალიზებულ მექანიზმს წარმოადგენს.

კონსტიტუციური კონტროლი არის კომპეტენტური ორგანოების მიერ ნორმატიულ აქტებს შორის კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის სპეციფიკური მექანიზმი. კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოებია: 1. სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტი, მთავრობა; 2. კონსტიტუციური კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები (საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოები, კვაზისასამართლოები); 3. სასამართლო ორგანოები.

აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური კონტროლი შეიძლება დავყოთ არასასამართლო ანუ ზოგად, საერთო და სასამართლო კონტროლად. არასასამართლო კონტროლისას ასეთი კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ხშირად იქმნება დამხმარე დაწესებულებები, ერთ-ერთ საპარლამენტო სპეციალიზირებულ ორგანოს წარმოადგენს ომბუდსმენი.

კონსტიტუციური კონტროლი, როგორც ხელისუფლების საქმიანობის დამოუკიდებელი მიმართულება, იწყება კანონების შემოწმებით და მათი კონსტიტუციის შესაბამისად ცხოვრებაში გატარებით.

იმ ქვეყნებში, სადაც არსებობენ კვაზისასამართლოები, კონსტიტუციური კონტროლი მათ მიერ ხორციელდება მუდმივად, აღსანიშნავია, რომ ასეთი სასამართლოების გადაწყვეტილებები არ არის საბოლოო და ისინი ატარებენ კონსულტატიურ ხასიათს (საფრანგეთში საკონსტიტუციო საბჭო, კონსტიტუციური ტრიბუნალ პოლონეთში).

სასამართლო კონტროლი არის სასამართლოების მიერ კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება.

დროის მიხედვით კონტროლი შესაძლებელია იყოს წინასწარი (პევენციული და გამაფრთხილებელი) და შემდგომი (რეპრესიული).

სამართლებრივი შედეგების მიხედვით კონსულტაციური და დამდგენი.

განხორციელების აუცილებლობის მიხედვით – სავალდებულო და ფაკულტატური.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ჩატარების საშუალებების მიხედვით – აბსტრაქტული და კონკრეტული.

სასამართლო კონტროლი, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად: 1. კონტროლი განხორციელებული საერთო სასამართლოების მიერ და 2. კონტროლი სპეციალიზირებული სასამართლოების მიერ. საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას საერთო სასამართლოების მიერ ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. რაც გამოიხატება იმაში, რომ საერთო სასამართლოები კოსტიტუციურობის შემოწმებას ახორციელებენ კონკრეტულ საქმეთა განხილვისას ჩვეულებრივი პროცედურით (დეცენტრალიზებული კონტროლი) ან უმაღლეს (უზენაეს) სასამართლოში სპეციალური პალატების მეშვეობით სპეციალურ პროცედურათა გამოყენებით (ცენტრალიზებული კონტროლი). აშშ-ს, არგენტინის და ნორვეგიის სასამართლოთა ნებისმიერ რგოლს შეუძლია კანონი ცნოს არაკონსტიტუციურად თუ სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივრების გზით მივა უზენას სასამართლომდე და ისიც ცნობს მას მაშინ ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შევა და იგი სავალდებულო ხდება სხვა სასამართლოებისათვის. ავსტრალიაში, ინდოეთსა და მალტაზე კანონის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის უფლებით სარგებლობს უზენაესი სასამართლო მას შემდეგ, რაც საქმე ქვედა რგოლის სასამართლოს (რომელსაც ასეთი განხილვის უფლება არ აქვს) გავლით მოხვდება მასთან. ქვე აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი არ წყვეტს მოქმედებას, მაგრამ მისი მოქმედება ბლოკირებულია სასამართლოს მიერ, არც ერთი სასამართლო არ გამოიყენებს მას ამგვარად უზენაესი სასამართლოს არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი კარგავს სასამართლო დაცვას, ფაქტობრივად კარგავს იურიდიულ ძალას, როგრც წესი, პარლამენტი აუქმებს ასეთ კანონს. უზენაეს სასამართლოში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების მიზნოთ ზოგიერთ სახელმწიფოში იქმნებიან სპეციალური პალატები, კოლეგიები. მაგ., კოსტა-რიკის უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური პალატა. ესტონეთის ეროვნული სასამართლოს საკონსტიტუციო კოლეგია.

კანონის კონსტიტუციურობის განხილვას სპეცილიზირებული საკონსტიტუციიო სასამართლოების მიერ ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი – სპეციალური კონსტიტუციური იურისდიქცია, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებელი სამართალწარმოების მეშვეობით (საკონსტიტუციო სამართალწარმოება). სასამართლო საკონსტიტუციო იურისდიქცია და შესაბამისად, საქმის წარმოება შეადგენს საკონსტიტუციო იუსტიციას ანუ კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა მისი მოქმედების შეწყვეტას, ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის მხრიდან რაიმე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება კანონის გაუქმების თვალსაზრისით საჭირო არ არის.

კონსტიტუციური მართლმსაჯულება თავისი არსით ორი საწყისის საკონსტიტუციო კონტროლის და მართლმსაჯულების ფორმის სინთეზს წარმოადგენს. კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას, როგორც მართლმსაჯულების ნაირსახეობას აქვს შემდეგი ძირითადი ნიშნები: 1. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული სასამართლო ორგანოს სახით. 2. სასამართლოთა ავტონომიურობა და იერარქიულობა. 3. დამოუკიდებელი პროცესუალური ფორმა. 4. კონსტიტუციური მართლმსაჯულების გადაწყვეტილებათა იურიდიული ძალა, მათი კონსტიტუციის ძალასთან გათანაბრება. 5. კანონმდებლობის განსაკუთრებული სისტემა.

ამგვარად კონსტიტუციური მართლმსაჯულება კონსტიტუციური კონტროლის უმაღლესი ფორმაა.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. Herman Schwartz The Struggle for Constitutional Justice in Post-Communist Europe. 2000
3. Wojciech Sadurski Constitutional Justice, East and West: Democratic Legitimacy and Constitutional Courts in Post-Communist Europe in a Comparative Perspective (Law and Philosophy Library), 2003.
4. Овсепян Ж.И. Судебный конституционный контроль в зарубежных странах. – Ростов-на-Дону : 1992.
5. Штайнбергер Г. Модели конституционной юрисдикции. Издание Совета Европы (Серия “Наука и техника демократии”) 1994.
6. Эбзеев Б. С. Конституция. Правовое государство. Конституционный Суд. – М.: 1997.

КОНСТИТУЦИОННОЕ ПРАВОСУДИЕ

ДАВИД ХОБЕЛИЯ – доктор права, професор

Конституционный контроль есть специфическая функция компетентных государственных органов по обеспечению верховенства конституции в системе нормативных актов. Судебный конституционный контроль есть проверка на соответствие конституции объектов такого контроля судебными органами. Таким образом, конституционное правосудие есть высшая форма конституционного контроля. Как правило, оно является последующим (репрессивным), учреждающим (постановляющим), обязательным, как абстрактным, так и конкретным (с возможными комбинациями), материальным и формальным.

CONSTITUTIONAL JUSTICE

DAVID KHOBELIA – Doctor of Law, Associate Professor

Constitutional control is a specific feature of the competent state bodies to ensure the supremacy of the constitution in the regulations. Judicial constitutional review is the test for compliance with the constitution of objects that control the judiciary. Constitutional Justice is the highest form of constitutional review.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com